

148/01

28.11.14

სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

ჩასატარებელ ღონისძიებათა ორგანიზების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და სსიპ - „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ წესდების მე-14 მუხლის შესაბამისად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში კონფერენციების, ლექცია-სემინარების, სიმპოზიუმების ან/და ვორქ-შოპების ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს და ღონისძიების ინიციატორ პირებს ღონისძიების გამართვამდე არა უგვიანეს ორი სამუშაო დღისა უნივერსიტეტში წერილობითი ფორმით წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია (განაცხადი) კონფერენციის, ლექცია-სემინარის, სიმპოზიუმის ან/და ვორქ-შოპის გამართვის შესახებ.
2. კონფერენციების, ლექცია-სემინარების, სიმპოზიუმების ან/და ვორქ-შოპების ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი ან უნივერსიტეტის კანცლერი.
3. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის (განაცხადის) ფორმა. განაცხადის შევსებისას აუცილებელია განაცხადის ყველა პუნქტზე პასუხის გაცემა.
4. წინამდებარე ბრძანების 1-ლი პუნქტით დადგენილი ვადის დაუცველობის შემთხვევაში ღონისძიების ინიციატორს უარი ეთქვას ღონისძიების ჩატარებაზე და თუ ღონისძიების ინიციატორი უნივერსიტეტში დასაქმებული პირია, ამასთან ერთად დაეკისროს შინაგანაწესით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
5. კანცლერის აპარატის უფროსმა ვასილ მიქაშავიძემ, ხოლო მისი არყოფნის ან/და მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, რექტორის აპარატის უფროსმა ნინო რუხაძემ უზრუნველყონ:
 - ა) ჩასატარებელ ღონისძიებათა ორგანიზების კოორდინირება (სათანადო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების გაფრთხილება);

- ბ) რექტორისათვის ჩასატარებელ ღონისძიებათა ორგანიზების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
6. დაევალოს ინფრასტრუქტურის დეპარტამენტს (მ. რობაქიძე) დაგეგმილი ღონისძიების ტექნიკური უზრუნველყოფა და აღნიშნულზე პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციის მიწოდება კანცლერის აპარატის უფროსისათვის.
7. დაევალოს ფინანსური რესურსების მართვისა და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტს (ნ. მარიამიძე) დაგეგმილი ღონისძიების ჩატარებისათვის (საჭიროების შემთხვევაში) აუცილებელი საქონლის შეძენა.
8. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის სამსახურს (გ. დონაძე) დაგეგმილი ღონისძიების საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა და აღნიშნულზე პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციის მიწოდება კანცლერის აპარატის უფროსისათვის.
9. დაევალოს საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტს (ი. ავალიანი) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს დაგეგმილი ღონისძიების თარგმანი და აღნიშნულზე პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციის მიწოდება კანცლერის აპარატის უფროსისათვის.
10. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ზ. ტალახაძე) უზრუნველყოს დაგეგმილი ღონისძიების გამართვის, მიმდინარეობის და შედეგების შესახებ ინფორმაციის განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის მასობრივი საშუალებებით გაშუქება.
11. დაევალოთ წინამდებარე ბრძანების 1-ლი, მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტებით გათვალისწინებულ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს ღონისძიების გამართვის ხელისშემშლელი გარემოების აღმოჩენისთანავე ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება კანცლერის აპარატის უფროსისათვის.
12. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ა(ა)იპ – „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის” მუდმივმოქმედი საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ“ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2012 წლის 14 სექტემბრის №122/01 ბრძანება.
13. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
14. ბრძანება დაეგზავნოს: კანცლერს, ვიცე-რექტორებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის აპარატის უფროსს, კანცლერის აპარატის უფროსს, ყველა სტრუქტურულ ერთეულს.
15. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა (ზ. ტალახაძე) უზრუნველყოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
16. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია
რექტორი

ბ ა ნ ა ც ხ ა ლ ი ს ო რ მ ა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კონფერენციების, ლექცია-სემინარების, სიმპოზიუმების, ვორკშოპების ორგანიზებისათვის ღონისძიების ორგანიზატორის დასახელება _____

ღონისძიების დასახელება, ჩატარების თარიღი, დრო (დაწყება-დამთავრება) და საკონტაქტო პირი

ღონისძიების გამართვისათვის აუცილებელი პირობების (ტექნიკური საშუალებების) ჩამონათვალი		შენიშვნა
დარბაზი	დარბაზის დასახელება და მონაწილეთა რაოდენობა	
პროექტორი	მიუთითეთ რაოდენობა	
ლექტორი	მიუთითეთ რაოდენობა	
საპროექციო ეკრანი	მიუთითეთ რაოდენობა	
გახმოვანება	მიუთითეთ მიკროფონების საჭირო რაოდენობა	
თარჯიმანი (ენა)	მიუთითეთ სათარგმნი და თარმნილი ენა	
ფურშეტის საჭიროება	მიუთითეთ მონაწილეთა რაოდენობა, გესაჭიროებათ თუ არა ინვენტარი	
სასმელი წყლის საჭიროება	მიუთითეთ რაოდენობა	
ინფორმაციის გავრცელების ადგილები (თსსუ-ის ვებგვერდი ან/და საინფორმაციო დაფა, გაზეთი, ტელევიზია, და სხვა)	მიუთითეთ ინფორმაციის გავრცელების საჭირო ადგილი	
უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების დაშვების საჭიროება	მიუთითეთ რაოდენობა და ადგილი	
სიმბოლიკის საჭიროება	ქვეყანა და სიმბოლიკის სახეობა და ზომა (სამაგიდე; დიდი)	
ინვენტარი	საქმიანი ნაწილისათვის ან/და ფურშეტისათვის (სახეობა-რაოდენობა)	
დამატებითი მოთხოვნები		

იმ შემთხვევაში თუ ჩამოთვლილი პირობებიდან ან ტექნიკური საშუალებებიდან რომელიმე არ გესაჭიროებათ სვეტში “შენიშვნა” მიუთითეთ - “არა”.

განაცხადი დადასტურებული უნდა იქნას ღონისძიების ინიციატორის ან/და უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ